ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5862756

ნომერი: AR1863726

თარიღი : 21.02.2022

გაცემის თარიღი : 23.03.2022

გაცნობის თარიღი : 24.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გარდაბანი , ბაგების სატყეო უბანი , (ნაკვეთი 01/086) ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო უბანი , (ნაკვეთი N20) ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო ტერიტორია , (ნაკვეთი N40) ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო ტერიტორია , (ნაკვეთი N17) ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო ტერიტორია , ნაკვეთი N17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01007001686
- წერეთლის გამზირი 71, ბ.24

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: № 5606461
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 21.09.2022

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ემა ომანაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ჯიენდენ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404516788
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინა ტროფიმოვა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01317064135

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3258.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 901.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2809.0
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1170.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 905.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 194.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 538.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8550.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 6540.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2010.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 13.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 10.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 901.2 კვ.მ. = კ1 - 0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1414.7 კვ.მ. = კ2 - 0.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1744.7 კვ.მ. = კ3 - 0.5

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1.. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:

- ველში ატვირთული სიმაღლის განსაზრვრის სქემა არ არის წაკითხვადი.
- <u>აღნიშნულ ველში წარმოდგენილ იქნას შემდეგი დოკუმნეტაცია:</u>
- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და საექსპერტო შეფასება.
  - ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;
  - ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;
  - გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის.
  - გაფრთხილება: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა წარმოდგენილ იქნეს შესაბამის საექსპერტო შეფასებასთან ერთად.

ასევე წარმოდგენილი იქნას ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ

ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება)

· საპროექტო ობიექტის კონსტრუქციული სქემა და საექსპერტო შეფასება

განგიმარტავთ: საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული სქემა შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილისაგან, სადაც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაბარიტული ზომები; საძირკვლის, გადახურვის და ვერტიკალური ელემენტების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები) ტიპი; შენობა-ნაგებობის სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და დეფორმაციაზე გაანგარიშების საწყისი მონაცემები (მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სიხისტეები, სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები), სივრცითი ანგარიშისათვის გამოყენებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის დასახელება და გაანგარიშებათა შედეგები (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და რხევის პერიოდი), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამისი და ამავე კონსტრუქციულ სქემაში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის/რეგლამენტების მოთხოვნებს. ხოლო, კონსტრუქციული პროექტი უნდა მოიცავდეს კონსტრუქციული სქემით გათვალისწინებულ ყველა ინფორმაციას დაზუსტებული, დაკონკრეტებული სახით და იძლეოდეს მშენებლობის განხორციელებისთვის ამომწურავ ინფორმაციას.

კონსტრუქციული პროექტი დამატებით უნდა მოიცავდეს:

ა) ფუძის მოწყობის, საძირკვლის და გადახურვის ძირითად ნახაზებს (ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციების ტიპების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები და ა. შ.), ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, გადახურვის ზედაპირის ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით);

ბ) ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს;

გ) კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების და სამშენებლო მასალების სპეციფიკაციას.

წარმოადგინეთ კონსტრუქციული სქემა/პროექტის საექსპერტო შეფასება. ასევე წარმოდგენილი იქნას ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 7 წლიანი სამუშაო გამოცდილება)

2. წარმოდგენილ იქნას შპს თბილისი ენერჯისა და შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუაერის თანხმობა და დამოწმებული საპროექტო გენ.გეგმა, არსებული მილსადენამდე და საკადატსრო საზღვრებემდე მიბმის მანძილის ჩვნებით.

3.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

· დოკუმენტაცია დამუშავდეს სახელმწიფო ენაზე.
· წარმოდგენილ იქნას კვალიფიციურად დამუშავებული, წაკითხვადი საპროექტო გენ.გეგმა.
· ამჯამად წარმოდგნილი გენ.გეგმა არ არის წაკითხვადი.
· ასევე საჭიროა გენ.გეგმა დამუშავდეს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა გენ.გეგმაზე დატანილ იქნას გამწვანებას და საპრექტო კეთილმოწყობა.
· წარმოდგენილ იქნას გადახურვის გეგმა, შესაბამისი ნიშნულების მითითებით.
· შენობის კუთხეებში მითითებულ იქნას შენობის გრუნტთან მიბმის ნიშნუნულები.
· შესწორდეს დადგენილი ხარვეზების გათვათვალსიწინებით და დაცულ იქნას სამეზობლო და წარმოსახვითი მიჯნის ზონები.

4. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ვექტორულ ფაილში წარმოდგენილ იქნას სრულყოფილი საანგარიშო კროკები, შესაბამისი დასათაურებით. გაითვალისწინეთ, რომ კიბის უჯრედები კ-2 ფართში შედის სრულად.

5.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:

· წარმოდგენილი სახით საპროექტო ობიექტის განვითარება არ არის მსიაღები, საჭიროა თითოეული შენობა გამოიყოს ერთმანეთისგან სეისმური ნაკერით და დაცულ იქნას სამეზობლო მიჯნის ზონები.
· დოკუმენტაცია დამუშავდეს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.
· დაცულ იქნას სამეზობლო მიჯნის ზონები საზაფხულო ფართებით +7.10 და +10.52 ნიშნულებზე.
· განახლებული დოკუმენტაციის შესაბამისად ასევე დაცულ იქნას წარმოსახვითი მიჯნის ზონები.
· 1 ღერძის მიმდებარედ +3,70 ნიშნულზე დატანილ იქნას მანძილი საკადასტრო საზღვრიდან საზაფხულო ფართამდე.
· დატანილ იქნას საპროექტო აუზების ჩაღრმავების ნიშნულები და დაანგარიშდეს მოცულობა. მოცულობის შესაბსმაიდ მითიტებულ იქნას შესაბამისი კლასი.

· ცეცხლმედეგობის ხარისხები დატანილ იქნას გარჩევადი სახით.
· დატანილ იქნას ნულოვანი ნიშნულის აბსოლიტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართება.
· დოკუმენტაციის 503-ე ცხრილთან შესაბამისობა გადამოწმდება მიწის დონის დაგდგენის შემდეგ.
გათვალსიწინეთ რომ B-2 კონსტრუქციის ტიპისთვის, სც-3 დაკავებულობა დასაშვებია მიწის დონიდან 4 სართული, გაითვალსიწინეთ, რომ ექსპლუატირებადი სართული ასევე იანგარიშება აღნიშნულ სართულიანობაში.

6.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.:
წარმოდგენილ იქნას კიბის უჯრედის დეტალი.

7.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:
· დატანილ იქნას ნულოვანი ნიშნულის აბსოლიტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართება.
· დატანილ იქნას აბსოლიტური ნიშნულები გრუნტის შეხების ადგილებათნა.
· წარმოადგინეთ ფასადების დეტალური პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს გარე კედლების საფარის, ღიობების, გარე ფანჯრისა და კარების, არქიტექტურული გაფორმების, აივნებისა და მსგავსი ნაშვერების ნახაზებს (ცალკეული კვანძების დეტალური ნახაზებს).
· წარმოდგენილ იქნას არქიტექტურული ელემენტების (კარ-ფანჯრები, ჟალუზები და სხვ.), დეტალების (გაფორმების ელემენტები, ნაკეთობები და ა.შ.) და სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია;
· მიწისპირა სართულის დასადგენად წარმოდგენილ იქნას ამჟამინდელი -3.00 ნიშნულის ფასადის განშლა რელიეფის ხაზისა და ფართის მითითებით. შესაბამისად დაანგარიშდეს მიწისპირა სართული ფაილშიც (ფასადის მიწის ზედა ნაწილი გაყოფილი პერიმეტრზე არ უნდა აჭარბებდეს 1,8-ს იმისათვის რომ არ იქნასმოაზრებული მიწისპირა სართულად). საჭიროებისამერ შეიცვალოო 0.00 ნიშნულის განსაზღვრება.

8.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.:
· წარმოსადგენია მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის გარჩევადი/წაკითხვადი სქემა: გაითვალისწინეთ, რომ განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი დგინდება მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის ან/და უკანა ეზოს მხრიდან.
· მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა საჭიროა ატვირთოთ შემდეგი შემადგენლობით: ტოპოგრაფიულ ძირზე დამუშვებული გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილ(ებ)ი; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის, ასევე ქუჩის შუა ხაზიდან შენობის უახლოეს კედლამდე მანძილის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის (არა სხივის) განსაზღვრით/ჩვენებით (ფორმულა H=L/Y); მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსასაზღვრელად იხელმძღვანელეთ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 31-ე მუხლით;
· გაითვასლიწიენთ რომ სზ-1თვის L-ის მაქსიმალური მნიშვნელობა განისაზრვრება 6მ-ით. აქედან განმომდინარე სიმაღლის ანგარისისას გათვასლიწიენბულ იქნას აღნიშნული.

9.ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). :
· დაკორექტირდეს ხარევზების გათვალსწინებით.
· ასევე დამატებით საპროექტო ფოტომონტაჟი (არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათზე) წარმოდგენილ იქნას ი.უჩანეიშვილის ქუჩის მხრიდან.

10. შესაბამის ველში ატვირთეთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების (მომიჯნავე საკადასტრო ერთეულ(ებ)ის და მისამართის დაფიქსირებით) არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესში მათზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები;
იმ შემთხვევაში, თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში, დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები;
გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა, დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.

11. III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .სპეციალისტის სახელი და გვარი.:

- ექსპერტად ველებში მითტებულ იქნას მარინა მაისურაძის მონაცემები.
- საექსპერტო შეფასება შესწორდეს დადგენილი ხარვეზების შესაბამისად.

12. III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.::

- განიმარტოს მიწის დონის ნიშნულის განსაზღვრის შესახებ, ხოლო შესაბამისი აბსოლიტური ნიშნული მონიშნულ იქნას საპროექტო გეგმებზე, ჭრილებსა და ფასადებზე.
- ასევე აღნიშნული მიწის დონის განსღვრის შემდეგ დეტალურად განიმარტოს დოკუმენტაციის 503-ე ცხრილთან შესაბამისობის თაობაზე.

13. საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით -> სქემის pdf ფაილი:
წარმოდგენილ იქნას შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები. განგიმარტავთ, რომ ms.gov.ge-ზე დაემატა „საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორია და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებისთვის უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და განცხადება დაარეგისტრირით ms.gov.ge-ზე („საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორიაში). ხოლო, სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა უნდა შეათანხმოთ ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგემილი იქნას არქიტექტურის სამსახურში.

14.. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი -> გამწვანების პროექტის pdf ფაილი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვისა საქალაქო სამსახურთან შესათანხმებლად საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:
1. კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
2. გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
3. გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
4. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
5. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;
<u>თქვენს მიერ ამჟამად არმოდგენილია ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების საექსპერტო შეფასება.</u>

15. წარმოსადგენია სრულყოფილი საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 19-ე მუხლის შესაბამისად აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს

- მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
- მიწის ნაკვეთის მისამართს;
- მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს (სარეკომენდაციოთ გაცნობებთ: მიუთითეთ კანონით დადგენილი განხილვის ვადა);

- შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან განაშენიანების დეტალური გეგმის რეკვიზიტებს
- საინფორმაციო დაფის გაბარიტები და მასზე ინფორმაციის განთავსების პირობები, საჯაროობისა და თვალსაჩინოების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძლება დააზუსტონ მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანოებმა მინიმალური გაბარიტის ჯერადობის მიხედვით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

16.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:
წარმოდგენილ იქნას მშენებლობის ორგანიზების პროექტი; გაცნობებთ, რომ კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, მშენებლობის ორგანიზების პროექტი მინიმუმ უნდა მოიცავდეს:
- ა) თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- ბ) განმარტებით ბარათს, შემდეგი ინფორმაციით:
- ბ.ა) სამშენებლო მოედნის ორგანიზების და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების აღწერა;
- ბ.ბ) მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათი ხანგრძლივობის აღწერა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად.
- ბ.გ) არსებობის შემთხვევაში, დაფარული სამუშაოების, დათვალიერებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალი, რაც მშენებლობის პროცესის დროს უნდა შედგეს;
- ბ.დ) უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების და ღონისძიებების აღწერა.
- გ) სამშენებლო მოედნის გეგმას (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, სამშენებლო მოედნის საზღვრების, საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების, სამშენებლო მოედანზე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის სქემის და განთავსების, ასევე სამშენებლო მასალების და დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილების ჩვენებით);
- დ) მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკს, მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათი ხანგრძლივობის მიხედვით: II კლასის მშენებლობისას – მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 ეტაპი.

მშენებლობის ორგანიზების პროექტში და გრაფიკში გათვალისწინებული იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის №255 დადგენილების მე-18 და მე-20 მუხლები.

17. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:
გადამოწმდება საპროექტო აუზების კლასისა და საპროექტო კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართის დაზუსტების შემდეგ.
- გაითვალიწიინეთ რომ აუზის კლასის მიხედვით საჭიროა გადახილ იქნეს ფიქსირებული ნებართვის მოსაკრებელი ნაგებობისთვის მე-2 კალსისთვის 50 ლარის ოდენობით (მეორე კლასს განეკუთვებეა 25კუბ.მ-დან 1000 კუბ.მ-მდე მოცულობის წყალსაცავი).
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი საპროექტო შენობისთვის განისაზრვრება საპროექტო კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფაღთობის შესაბამსიად 1 კვ.მ-ზე 4 ლარის ოდენობით.
- საჭიროებისამებრ დამატებით გადახდილ იქნას დარჩენილი მოსაკრებლის რაოდენობა.

18. წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ გაცემული, დამოწმებული მინდობილობა. ასევე, წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში, შპს "ბი პი უაის" მიერ გაცემული, დამოწმებული თანხმობა

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.